საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის

# ბიულეტენი

4 იანვარი 1990 წ.

№7

ფასი 1 მან.

რეფერენდუმი ხალხის პოლიტიკური ნების გამოხატვის ყველაზე უფრო დემოკრატიული გზაა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დეკლარაცია კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ აღიარებს: „ყველა დამოკიდებული ხალხის მხურვალე ლტოლვას თავისუფლებისაკენ და ამ ხალხთა გადამწყვეტ როლს თავიანთი დამოუკიდებლობის მიღწევაში".

რეფერენდუმი ეროვნული ხსნის მთავარ კომიტეტს თავისუფლებისათვის ბრძოლის ერთ-ერთ საშუალებად მიაჩნია. რეფერენდუმის ძალით ჩვენ გავხდებით საერთაშორისო სამართლის სუბიექტები. მსოფლიოს საზოგადოებრიობა გაეცნობა რეფერენდუმის შედეგებს, რომელშიც გამოჩნდება ქართველი ხალხის სულისკვეთება და მიზანი და მისი აზრი საქართველოს ეროვნული მოძრაობის მხარეზე აღმოჩნდება. ამასთან ერთად, მთელი მსოფლიოს წინაშე ნიღაბი ჩამოეცლება კრემლის იმპერიის აგრესიულ პოლიტიკას, რადგან ყველასათვის ნათელი გახდება, თუ რა ძალა იმონებს და იმორჩილებს საბჭოთა იმპერიაში შემავალ თავისუფლებისმოყვარე ერებს. სწორედ ამიტომ საქართველოს ეროვნულმა მოძრაობამ და ეროვნული ხსნის მთავარმა კომიტეტმა დღის წესრიგში დააყენა რეფერენდუმის ჩატარება საქართველოში. იმედი გვაქვს, რომ რეფერენდუმი ეროვნული მოძრაობის წინსვლას კიდევ უფრო შეუწყობს ხელს.

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

## კანონი საქართველოში საყოველთაო რეფერენდუმის (კენჭისყრის) შესახებ

რეფერენდუმი ქვეყანაში საზოგადოებრივ ურთიერთობათა მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების ცხოვრებაში დამკვიდრებისა და ამა თუ იმ დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საკითხის გადაწყვეტისათვის ყველაზე უფრო დემოკრატიული გზაა. ხალხი მონაწილეობს მასში არა რაიმე შუალედური რგოლის-წარმომადგენლობითი ორგანოს-მეშვეობით, არამედ უშუალოდ, საყოველთაო-სახალხო კენჭისყრით. კანონთა მიღებისა და საკითხთა გადაწყვეტის ასეთი მექანიზმი უზრუნველყოფს ქვეყნის მოსახლეობის ნების სწორად განსაზღვრას, რაშიც ვლინდება საზოგადოების, როგორც სამართალშემოქმედების სუბიექტის როლი.

თანამედროვე პირობებში, ვინაიდან საქართველო არის ოკუპირებული და ფაქტიურად ანექსირებული ქვეყანა, მისი ხელისუფლება არის უკანონო და არ გამოხატავს ხალხის ჭეშმარიტ ნებას.

ვინაიდან, ფიქცია წარმოადგენს ხელისუფლების (საკანონმდებლო, აღმასრულებელ-განმკარგულებელი და სასამართლო ორგანოების (დანაწილების დემოკრატიული საზოგადოებისათვის აუცილებელი პრინციპი,

ვინაიდან, დღევანდელ საქართველოში ოფიციალური საკანონმდებლო ორგანო, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო არ არის თავისუფალი და დამოუკიდებელი რესპუბლიკური თუ საკავშირო პარტიული და სახელმწიფო ორგანოებისაგან და აქედან გამომდინარე ის არ შეიძლება გამოხატავდეს ხალხის ჭეშმარიტ ნებას, ასეთ ვითარებაში კანონთა მიღება და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხთა გადაწყვეტა საყოველთაო რეფერენდუმის გზით ერთადერთი გამოსავალია საქართველოში არსებული უმწვავესი პოლიტიკური, ეროვნული, დემოგრაფიული, სოციალური, ეკოლოგიური და სხვა პრობლემების გადაჭრისათვის ხალხის ჭეშმარიტი ნების შესაბამისად.

მუხლი I. საყოველთაო რეფერენდუმზე გადასაწყვეტად გაიტანება დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფო (საკანონმდებლო და სხვა) საკითხები.

მუხლი 2. საყოველთაო რეფერენდუმზე გასატანი საკითხების რაოდენობა, სახეობა, წრე და ნუსხა წინასწარ არ განისაზღვრება. ხალხი, როგორც სამართალშემოქმედების სუბიექტი, დამოუკიდებლად განსაზღვრავს რეფერენდუმზე გასატან კანონპროექტებსა და სხვა საკითხებს.

მუხლი 3. არსებული პოლიტიკური რეალობიდან გამომდინარე, რეფერენდუმი ტარდება საქართველოს დღევანდელი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული საზღვრების ფარგლებში.

მუხლი 4. რეფერენდუმი საყოველთაო და თანაბარია საქართველოს ყოველი მუდმივი მცხოვრებისათვის. თითოეულ მათგანს კენჭის-ყრის დროს აქვს ერთი ხმა. ისინი თანასწორნი არიან წარმოშობის, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, ეროვნული კუთვნილების, სქესის, განათლების, ენის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, საქმიანობის სახეობისა და ხასიათის მიუხედავად.

მუხლი 5. საყოველთაო რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს ყოველ მუდმივ მცხოვრებს, რომელსაც შეუსრულდა I8 წელი.

მუხლი 6. რეფერენდუმში მონაწილეობენ აგრეთვე საქართველოს ტერიტორიაზე არსებული თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მყოფი პირები, რომლებიც დაპატიმრებამდე მუდმივად ცხოვრობდნენ საქართველოში.

იმ პირების რეფერენდუმში მონაწილეობის საკითხს, რომლებიც ითვლებიან ფსიქიურად დაავადებულებად, აგრეთვე იძულებითი მკურნალობის ადგილებში მყოფნი, რომლებიც საბჭოთა სასამართლომ ცნო არაქმედუნარიანებად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში წყვეტს საქართველოს ცენტრალური სარეფერენდუმო კომისია მათი პირადი, ან სხვა პირთა განცხადების საფუძველზე.

მუხლი 7. რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება არა აქვთ:

ა) საოკუპაციო ხელისუფლების წარმომადგენლებს საქართველოში: საბჭოთა არმიის სარდლობას, ოფიცრებს, ზევადით სამხედრო მოსამსახურეებს და ვადიან სამხედრო სავალდებულო სამსახურში მყოფ პირებს.

ბ) საქართველოში დროებით მოვლინებულ ან სხვა მიზნებით მყოფ პირებს.

გ) ფსიქიურად დაავადებულთ.

დ) იმ პირებს, რომლებიც იძულებითი მკურნალობის ადგილებში იმყოფებიან.

მუხლი 8. კენჭის-ყრა რეფერენდუმში ხორციელდება ფარული წესით.

მუხლი 9. იმისათვის, რომ ჩატარდეს რეფერენდუმი, საკმარისია შედგეს მიმართვა რეფერენდუმის ჩატარების წინადადებით, არანაკლებ 50 ათასი რეფერენდუმში მონაწილეობის უფლების მქონე პირის ხელმოწერით. მიმართვა იწერება საქართველოს მოსახლეობის სახელზე.

მუხლი I0. მიმართვის ორგანიზაციის სუბიექტია საქართველოს ეროვნული მოძრაობა და საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტი, რომელსაც აღიარებს ქართველი ხალხი და რომელიც დე ფაქტოდ ცნო საქართველოს მარიონეტულმა მთავრობამ.

მუხლი II. საქართველოს ეროვნული მოძრაობა და საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტი ქმნიან საქართველოს ცენტრალურ სარეფერენდუმო კომისიას, ადგენენ იმ კომისიის ორგანიზაციულ სტრუქტურას, მის წევრთა რაოდენობას და კომისიის წევრებად იწვევენ საზოგადოების წარმომადგენლებს.

მუხლი I2. საქართველოს ცენტრალური სარეფერენდუმო კომისია ადგენს და ამტკიცებს საყოველთაო რეფერენდუმის მზადებისა და ჩატარების ვადებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და აცნობებს საქართველოს მოსახლეობას.

მუხლი I3. საქართველოს ცენტრალური სარეფერენდუმო კომისია საქართველოს ამჟამინდელ მთელ ტერიტორიას ჰყოფს საყოველთაო-სახალხო კენჭისყრის ჩასატარებელ რეგიონალურ სარეფერენდუმო უბნებად, საქართველოს ისტორიული კუთხეების მიხედვით და საქართველოში არსებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის პრინციპით საქალაქო, რაიონულ და სასოფლო უბნებად.

მუხლი I4. საქართველოს ცენტრალური სარეფერენდუმო კომისია აყალიბებს რეგიონალურ, საქალაქო, რაიონულ და სასოფლო საუბნო სარეფერენდუმო კომისიებს, ადგენს და ამტკიცებს მათ წევრთა რაოდენობასა და შემადგენლობას.

მუხლი I5. სარეფერენდუმო კომისიის წევრები თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ საზოგადოებრივ საწყისებზე.

მუხლი I6. რეფერენდუმის ჩატარების დაფინანსება ხდება საზოგადოებრიობის შემოწირულობათა საფუძველზე. იქმნება საქართველოს ცენტრალური სარეფერენდუმო ფონდი, რომელსაც განაგებს საქართველოს ცენტრალური სარეფერენდუმო კომისია. შემოწირულობებს ღებულობენ პირები, რომელთაც აქვთ ცენტრალური სარეფერენდუმო კომისიის მიერ დამოწმებული ერთიანი ფორმის მანდატი და ასევე ცენტრალური სარეფერენდუმო კომისიის მიერ ლუქდადებული ყულაბა.

მუხლი I7. საყოველთაო სახალხო კენჭისყრის ბიულეტენებისა და სარეფერენდუმო ბარათების ფორმასა და ზომებს ადგენს ცენტრალური სარეფერენდუმო კომისია. ბიულეტენები იბეჭდება ქართულ ენაზე, აუცილებლობის შემთხვევაში რუსულ ენაზე.

ბიულეტენების შესაგროვებელი ყუთების გაბარიტებსა და ზომებს, ასევე ლუქისა და ბეჭდების ნიმუშებს ადგენს ცენტრალური სარეფერენდუმო კომისია.

მუხლი I8. ყოველ სარეფერენდუმო უბანში ეწყობა საყოველთაო-სახალხო კენჭისყრის პუნქტები, სადაც დგას დალუქული ყუთები ბიულეტენების შესაგროვებლად და რეფერენდუმის ყოველ მონაწილეს აქვს ფარული კენჭისყრის პროცედურის ჩატარების საშუალება.

ცენტრალური სარეფერენდუმო კომისია უზრუნველყოფს თითოეულ სარეფერენდუმო უბანს რეფერენდუმის ჩატარებისათვის აუცილებელი ინვენტარითა და სახსრებით.

მუხლი I9. რეფერენდუმის ორგანიზატორებს უფლება აქვთ ჩაატარონ ახსნა-განმარტებითი წინასარეფერენდუმო კამპანია, ამ მიზნით გამოიყენონ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები.

მუხლი 20. სარეფერენდუმო ბარათების დარიგება რეფერენდუმში მონაწილეობის უფლების მქონე პირთათვის საცხოვრებელ ბინებში ხდება ცენტრალური სარეფერენდუმო კომისიის მიერ დადგენილ ვადებში და მთავრდება არაუგვიანეს რეფერენდუმის წინა დღისა.

სარეფერენდუმო ბარათების დარიგების დროს, ამ ბარათებში აღინიშნება რეფერენდუმში მონაწილეობის უფლების მქონე პირთა გვარი, სახელი, მამის სახელი, ამავე დროს დგება რეფერენდუმში მონაწილეობის უფლების მქონე პირთა სიები ალფავიტის ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

მუხლი 2I. რეფერენდუმის ჩატარება დიდ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობის საკითხზე მიზანშეწონილია გარეშე დამოუკიდებელი მეთვალყურეების მონაწილეობით. გარეშე მეთვალყურედ შეიძლება მოწვეული იქნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ევროპის საბჭოსა და ევროპის პარლამენტის, იურისტთა საერთაშორისო ასოციაციის ან სხვა დემოკრატიული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

მუხლი 22. საყოველთაო რეფერენდუმის ჩატარების დღეს აკრძალულია ყოველგვარი აგიტაცია-პროპაგანდის წარმოება რეფერენდუმის შესახებ.

მუხლი 23. რეფერენდუმში მონაწილეობის მიღება ნებაყოფლობითია. რეფერენდუმში მონაწილეობისათვის დაძალება, ასევე მონაწილეობისათვის ხელის შეშლა აკრძალულია.

მუხლი 24. რეფერენდუმში მონაწილენი პირადად უნდა გამოცხადნენ სარეფერენდუმო უბნებში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. თითოეულ მათგანს მანამდე ეცნობება მასზე მიმაგრებული სარეფერენდუმო უბნის ადგილსამყოფელი. სარეფერენდუმო ბარათების წარდგენის შემდეგ რეფერენდუმის მონაწილეებს ეძლევათ საყოველთაო-სახალხო კენჭისყრის ბიულეტენები.

რეფერენდუმში მონაწილე ვალდებულია ბიულეტენის აღების შემდეგ ხელი მოაწეროს სარეფერენდუმო უბნის საერთო სიაში თავისი გვარის გასწვრივ და ამის შემდეგ გამოხატოს თავისი დამოკიდებულება ბიულეტენში მოცემულ კითხვებზე. შევსებულ ბიულეტენს რეფერენდუმში მონაწილე აგდებს სარეფერენდუმო უბანში დადგმულ სპეციალურ ყუთში.

მუხლი 25. ყოველი სარეფერენდუმო კომისია რეფერენდუმის მიმდინარეობის დროს რეფერენდუმში მონაწილეობის უფლების მქონე პირთა საერთო სიაში შეცდომის აღმოჩენის შემთხვევაში ასწორებს მას და შეაქვს სათანადო ცვლილებები.

მუხლი 26. მძიმე და მწოლიარე ავადმყოფებისათვის ადგილობრივი სარეფერენდუმო კომისიები გამოყოფენ სპეციალურ ჯგუფებს მათი რეფერენდუმში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.

მუხლი 27. თითოეულ სარეფერენდუმო უბანში კენჭისყრის დამთავრების შემდეგ ადგილობრივი სარეფერენდუმო კომისიები უზრუნველყოფენ ბიულეტენების შესაგროვებელი ყუთების გაუხსნელ მდგომარეობაში სასწრაფოდ ჩაბარებას ცენტრალურ სარეფერენდუმო კომისიაში.

მუხლი 28. ცენტრალური სარეფერენდუმო კომისია ხსნის ყუთებს, ითვლის ხმებს და თითოეულ სარეფერენდუმო უბნის კენჭისყრის შედეგზე ადგენს შესაბამის ოქმს.

მუხლი 29. რეფერენდუმის ჩატარების პერიოდში აკრძალულია რაიმე შუალედური შედეგებისა და მასალების გამოქვეყნება.

მუხლი 30. აღნიშნული მოთხოვნების დარღვევის თითოეულ ფაქტს ცენტრალური სარეფერენდუმო კომისია ფართო საზოგადოებასთან ერთად აძლევს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შეფასებას.

კანონით გათვალისწინებულია ამა თუ იმ სარეფერენდუმო უბანში კენჭისყრის შედეგების ბათილად ცნობის შემთხვევაში კენჭისყრის ახლიდან გამართვა.

მუხლი 3I. საქართველოს ცენტრალური სარეფერენდუმო კომისია აჯამებს საყოველთაო-სახალხო კენჭისყრის შედეგებს, ადგენს მის საბოლოო ოქმს, რომელსაც ხელს აწერს ცენტრალური სარეფერენდუმო კომისიის უკლებლივ ყველა წევრი.

ამის შემდეგ საქართველოს ცენტრალური სარეფერენდუმო კომისია საყოველთაო რეფერენდუმის შედეგებს აცნობებს საქართველოს მოსახლეობას.

მუხლი 32. საყოველთაო რეფერენდუმის შედეგების გაყალბება დამოწმებული უნდა იქნას ფაქტობრივი მასალით. ამგვარ საკითხებს სწავლობს და მათთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს ღებულობს ცენტრალური სარეფერენდუმო კომისია.

მუხლი 33. საყოველთაო რეფერენდუმის შედეგებს იურიდიული ძალმოსილება ენიჭება, თუ მასში მონაწილეობის უფლების მქონე პირთა 50 % პლიუს ერთი მიიღებს მონაწილეობას.

მუხლი 34. საყოველთაო სახალხო კენჭისყრაში მონაწილეთა 50% პლიუს ერთი თუ მოიწონებს რეფერენდუმზე გატანილ კანონის პროექტს ან საკითხის შემოთავაზებულ გადაწყვეტას, მაშინ ეს კანონი ჩაითვლება დამტკიცებულად, ხოლო საკითხი გადაწყვეტილად საყოველთაო რეფერენდუმის მიერ.

მუხლი 35. საყოველთაო რეფერენდუმზე დამტკიცებული კანონპროექტები და გადაწყვეტილი საკითხები ძალაში შედის რეფერენდუმის შედეგების გამოქვეყნების დღიდანვე.

მუხლი 36. წინამდებარე საყოველთაო რეფერენდუმის კანონის პროექტის დამტკიცება და მასში ცვლილებების შეტანა ხდება რეფერენდუმის საშუალებით. ამ რეფერენდუმის ჩატარების პრინციპები და მექანიზმი ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს საყოველთაო რეფერენდუმის წინამდებარე კანონის პროექტის პრინციპებსა და მექანიზმს.

საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტის საყოველთაო რეფერენდუმის კანონის პროექტის სარედაქციო კომისია.

საქართველოს საყოველთაო რეფერენდუმის კენჭისყრის

ბ ი უ ლ ე ტ ე ნ ი

I. იწონებთ თუ არა თქვენს სამსჯავროზე წარმოდგენილ საქართველოში საყოველთაო რეფერენდუმის კენჭისყრის კანონს?

კი არა

2. დადგეს თუ არა საქართველოს I92I წლის 25 თებერვლის ანექსიისა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხები განსახილველად გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, ევროპის საბჭოსა და ევროპის პარლამენტში და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში?

კი არა

გთხოვთ თქვენთვის შემოთავაზებულ კითხვებზე სასურველი პასუხები შემოხაზოთ და ბიულეტენი საყოველთაო სახალხო რეფერენდუმის ჩატარების დღეს ჩააგდოთ სარეფერენდუმო ყუთში.

დამოუკიდებელი ნაციონალურ-პატრიოტული, დემოკრატიული ორგანიზაციების საკოორდინაციო საბჭოს სხდომა

**გია ჯინჭარაძე**
**კოტე ბაბუნაშვილი**

# ყირიმის კონფერენცია

1989 წლის 7-8 ოქტომბერს ყირიმში გაიმართა დამოუკიდებელი ეროვნულ-პატრიოტული ორგანიზაციების საკოორდინაციო საბჭოს მორიგი სხდომა. ლიტვის, ლატვიის, სომხეთის, ბელორუსიის, მოლდავეთის, უკრაინის მთელი რიგი ორგანიზაციების წარმომადგენელთა არყოფნის გამო სხდომას მიეცა მის წინაშე დასმული ამოცანების ნაწილობრივი იგნორირებისა და სხვა საკითხების განხილვის მიმართულება, რასაც ხელს უწყობდა "თურქ-მესხთა" დელეგაციისა და ყირიმელ თათართა ორგანიზაციის მიერ საქართველოს მიმართ პრეტენზიების წამოყენების ტენდენცია, ამასთან პირველები გამოდიოდნენ ძირითადი ბრალმდებლის როლში, ხოლო მეორენი ემოწმებოდნენ მათ ამ საკითხებზე გამართულ დისკუსიაში, რომელიც დაიწყო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრების მიერ დამსწრეთა წინა წაკითხული ინფორმაციის შემდეგ, საქართველოში პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის წევრების მიერ ითქვა შემდეგი: "ვინაიდან ჩვენ წარმოგიდგინეთ საქართველოში არსებული პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია (ყველას დაურიგდა) ჩვენ პირდაპირ გადავალთ ჩვენი პოზიციების ჩამოყალიბებაზე აქ დასმული საკითხების გარშემო. საუბარს გავყოფთ ორ ნაწილად. I. "თურქი-მესხების" საკითხის ირგვლივ, 2. საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის მიერ დაგეგმილი აქციები და დამოკიდებულება არჩევნების საკითხის მიმართ.

I. "თურქი-მესხების" საკითხთან დაკავშირებით ითქვა შემდეგი: ა) კრემლი თურქი მესხების საკითხს განიხილავს, როგორც ერთ-ერთ კოზირს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ, ამიტომ საკითხის განხილვა ვიწროდ მხოლოდ "თურქი-მესხების" ინტერესების გათვალისწინებით შეუძლებელია. ბ) იმის გამო, რომ საქართველოში მცხოვრები სხვა ეთნიკური ჯგუფები, კრემლს სურს გადაჰკიდოს ერთმანეთს და უპირველეს ყოვლისა ქართველებს, თავად "თურქი-მესხების" ინტერესს უნდა წარმოადგენდეს არ აღმოჩნდნენ იარაღი ვილაცის ხელში ქართველების წინააღმდეგ რითაც თავიდან აიცილებენ ქართველ ხალხთან ურთიერთობის სამუდამოდ გაფუჭებას. ეს შესაძლებელია მხოლოდ დამოუკიდებელ საქართველოში. გ) "თურქი-მესხების" მიერ გადმოცემულ მიმართვაში ქართველი ხალხისადმი გაურკვეველია თურქი-მესხების პოზიცია. ისინი ამ მიმართვაში თავს მოიხსენიებენ ქართველი ხალხის ნაწილად, მაგრამ მკაფიოდ არ ამბობენ თავისი წარმომავლობის შესახებ, თურქები არიან თუ ქართველები. ეს ბუნდოვანება პრინციპული ხასიათისაა, რადგან თუ ისინი ქართველები არიან და თავს ასეთებად აცხადებენ მაშინ ეს ნიშნავს, რომ ისინი საქართველოს უბრუნდებიან როგორც ქართველები, ე.ი. უბრუნდებიან თავის ენას, გვარს, სარწმუნოება მათი არჩევანის საქმეა. ხოლო თუ ისინი თურქები არიანი, მაშინ საქართველოში ლამობს შემოსვლას თურქული მოსახლეობა და ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ დაისვას შემდეგი საკითხები.

I) განა ბუნებრივი არ არის, თურქი მიისწრაფოდეს თურქეთისაკენ ე.ი. მესხეთში მათი განსახლების შემდეგ, რაც მათი კატეგორიული მოთხოვნაა, მოითხოვონ პიწიანად თურქეთის შემადგენლობაში შესვლა, რაც გამოიწვევს მნიშვნელოვან გართულებებს თურქეთთან ურთიერთობაში და საბაბს მისცემს თურქეთს ჩაერიოს საქართველოს საქმეებში.

2) თურქული მოსახლეობა საქართველოში უეჭველად მოითხოვს კულტურულ ავტონომიას, თურქული სკოლების გახსნას და ა.შ. ვითვალისწინებთ რა საქართველოს მძიმე დემოგრაფიულ სიტუაციას და მუსლიმანების გამრავლების ტემპებს (რაც საერთოდ მაღალი აქვთ და მით უმეტეს მაღალი იქნება იგი მაშინ როდესაც თურქული მოსახლეობა თავს უდარდელად იგრძნობს კულტურული ავტონომიის პირობებში, ცოდნის საკუთარ ენაზე მიღებისა და ლოცვის საკუთარი წესით აღვლენის შემთხვევაში, რაც მათ ადამიანურ უფლებას წარმოადგენს) ვხედავთ მცირე ხანში ქართული მოსახლეობის ეროვნულ უმცირესობად გადაქცევის საშიშროებას. ამის არ გათვალისწინება საქართველოს ეროვნული ინტერესების უხეში იგნორირება იქნება.

3) დღეს იმ მიწებზე, რომლებზეც "თურქი-მესხები" ითხოვენ დაბრუნებას ცხოვრობენ სომხები. სომხებთან თურქების განსახლება გამოიწვევს ერთაშორისი დაძაბულობის კიდევ ერთი კერის გაჩენას საქართველოში, ხოლო ეს ეწინააღმდეგება საქართველოს სასიცოცხლო ინტერესებს.

4) ჩვენ იგნორირებას ვერ გაუკეთებთ ქრისტიანული სომხეთის ინტერესებს, დღეს მიმდინარე მოვლენები გვიჩვენებს რომ სომხეთისა და მუსლიმანური სამყაროს შემორიგება არარეალურია. სომხეთი გარშემორტყმულია ისლამური სამყაროთი. ირანი, თურქეთი, აზერბაიჯანი, საქართველოს მაჰმადიანებით დასახლებული რაიონები. ერთადერთი "ლაქა" ამ გარემოცვაში არის სწორედ ახალციხე, ახალქალაქის მხარე და ამ ტერიტორიაზე თურქების ჩასახლება ნიშნავს სომეხი ხალხის მოწყვეტას ქრისტიანული ფორპოსტიდან, რაც გამოიწვევს ერთი მხრივ სომეხი ხალხის გულისწყრომას, და მეორე მხრივ წარმოუდგენელ ზიანს მიაყენებს საქრისტიანოს ინტერესებს კავკასიაში.

5) საქართველოში თურქული მოსახლეობის არსებობა და მასთან შესაძლო კონფლიქტი გაურთულებს საქართველოს მუსლიმანურ გარემოცვაში არსებობას, რაც ასევე ეწინააღმდეგება საქართველოს სასიცოცხლო ინტერესებს.

6) ჩვენ გვაფიქრებს ის არადამიანური მხეცობა რომლის მსხვერპლი გახდნენ თვით "თურქ-მესხთა" წარმომადგენლები, მაგრამ გვაფიქრებს აგრეთვე მსგავსი "აქციების" განმეორების საშიშროება ნებისმიერ ადგილას და უპირველეს ყოვლისა საქართველოში ქართველი ხალხისათვის უცხოა ასეთი სისასტიკე და ჩვენ გვინდა გარანტია მსგავსი საქციელის გაუმეორებლობისა.

ყოველივე ზემოთქმული არის არასრული ჩამონათვალი იმ პრობლემათაგან, რომელთა გარშემო უნდა გაიმართოს საფუძლიანი ლაპარაკი. მხოლოდ საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესების გათვალისწინებით და ამ ინტერესების განხორციელების რეალური გარანტიების გამომუშავებით შეიძლება ლაპარაკი "თურქი-მესხების" საქართველოში დაბრუნების შესახებ. ამისათვის კი საჭიროა სულ ცოტა დამოუკიდებელი საქართველოს არსებობა.

2/ უახლოესი აქციების მომზადებისა და არჩევნების ბოიკოტის საკითხზე საქართველოს ეროვნული დამოუიდებლობის პარტიის პოზიცია შემდეგნაირად ჩამოყალიბდა. საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიას მიაჩნია, რომ ყველა გზას მათ შორის ეროვნული სათათბიროს არჩევის განხორციელებას, მივყავართ ერთ დასკვნამდე რეალური შედეგების მიღწევა ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვების გზაზე საბოლოო ჯამში შესაძლებელია ერვონული დაუმორჩილებლობით. ამიტომ სედპ ყველა ღონეს იხმარს რათა მოამზადოს საქართველოში ეროვნული დაუმორჩილებლობის გამოცხადების საფუძველი. ამ მიზნით II ოქტომბრიდან იწყება აქცია ოკუპანტთა ჯარში სამსახურის წინააღმდეგ, რომელსაც გარკვეული დროის შემდეგ დაემატება აქცია საერთაშორისო ორგანიზაციების მისიების ჩამოსვლის მოთხოვნით ყველა ეს აქცია მოიცავს სრულიად საქართველოს. ამ აზრმა გამოიწვია ესტონეთის დამოუკიდებლობის პარტიის აღფრთოვანებული თანხმობა და მხარდაჭერა. შემდეგ ითქვა რომ არჩევნების ბოიკოტის კონკრეტული გეგმა მალე მიიღება და ამ გეგმის განხორციელებით შევეცდებით დასახული მიზნის ასრულებას.

გაიმართა კერძო მოლაპარაკება თურქ-მესხებთან და აზერბაიჯანის დელეგაციასთან.

## I. მოლაპარაკება " თურქ-მესხებთან"

თურქი-მესხების მიმართვა ქართველი ხალხისადმი მეტად წინააღმდეგობრივია. ასეთ ვითარებაში ბუნებრივია დაიბადა კითხვები. დიალოგმა გამოააშკარავა, რომ დღეს თურქ-მესხებს შორის არსებობს ორი დიდი დაჯგუფება. I. თურქები, 2. ქართველები. პირველნი შეადგენენ თურქი-მესხების 60% , ხოლო მეორენი 40%. (სულ თურქი-მესხები შეადგენენ 360 ათასს სუკ-ის მონაცემებით, ხოლო აღწერით მათი რიცხვი 2I7 ათასია). როგორც გაირკვა მიმართვა ამ ორ დაჯგუფებას შორის კომპრომისული ვარიანტია. თურქი-მესხების დროებითი ორგანიზაციის თავმჯდომარე იუსუფ სარვაროვი არის თურქული ორიენტაციის და სასტიკად უარჰყოფს "თურქ-მესხებში" ქართველთა არსებობის ფაქტს. მისგან მივიღეთ მუქარა: I. ჩვენ რადაც არ უნდა დაგვიჯდეს ჩამოვალთ საქართველოში, სჯობს მიგვიღოთ მშვიდობიანად, თუ არა და გამოვნახავთ სხვა ხერხებს. კითხვაზე თუ რას გულისხმობს სხვა ხერხებში გაისმა პასუხი: " ეს თქვენი თავსატეხი გახდესო". 2. თურქი-მესხების დაჩაგვრას არ გაპატიებთ მუსლიმანური სამყარო და როგორ აპირებთ დამოუკიდებლობასო? ჩვენ თქვენი დამოუკიდებლობისაკენ ვართ ოღონდ ჩვენთან ერთად. უჩვენოდ თქვენი დამოუკიდებლობის წინააღმდეგი ვართო.

საუბარი განვაგრძეთ ქართული ორიენტაციის ორ წარმომადგენელთან რომელთაგან ერთ-ერთი გაგვეცნო როგორც ვინმე თავაძე (ცოლი ჰყავს გოგოლაძე და თავის გვარს ატარებს). მათ გამოთქვეს სურვილი საქართველოში დაბრუნებისა და განაცხადეს რომ უნდათ აღიდგინონ გვარები, ბავშვები მიაბარონ ქართულ სკოლაში, მხოლოდ მაჰმადიანობის შენარჩუნება უნდათ. სარვაროვი შორიდან თურქულ რეპლიკებს ესროდა. ჩვენთან მოსაუბრე ქართველებს. ჩანდა რომ არ მოსწონდა მათი ამგვარი საქციელი. ამაზე გამწარებულმა ქართული ორიენტაციის მესხებმა გაგვიმხილეს, რომ სარვაროვი მათ ქრისტიანებს ეძახის და ცდილობს გარიყოს ისინი თურქი მესხებისაგან რაც განსაცდელში მყოფთათვის მეტად არასასიამოვნოა. როგორც მათ შეგვატყობინეს ა.წ. I0 ოქტომბერს უნდა გაიმართოს ქართველი მესხების შეკრება სადაც ისინი განიხილავენ თურქებისაგან გამოყოფის საკითხს თუმცა არაორაზროვნად გვითხრეს რომ ჩვენი მხარდაჭერა მათთვის გადამწყვეტი იქნება, ვინაიდან სარვაროვის მაინც ეშინიათ.

ფერგანის ტრაგედიის მიზეზებზე საუბრისას მათ დაადასტურეს რომ ერთ-ერთი მიზეზი იყო უზბეკების მიერ "თურქი-მესხებისათვის" შემოთავაზებული რუსების ერთობლივ დარბევაზე უარის თქმა აგრეთვე ის რომ "თურქი-მესხები" გაცილებით უკეთესად ცხოვრობდნენ უზბეკებზე. კრინტი არ დაძრულა სუნიზმ-შიიზმის პრობლემაზე. ქართველი ორიენტაციის მესხები შემდგომი მოლაპარაკებისათვის მოწვეულნი არიან თბილისში. კატეგორიულად მოვთხოვეთ მათ სარვაროვის იგნორირება, როგორც პირობა ჩვენი ურთიერთობის გაგრძელებისა.

## 2. მოლაპარაკება აზერბაიჯანის დელეგაციასთან.

აზერბაიჯანის სახალხო ფრონტის წარმომადგენელმა ნაჯაფ ნაჯაფოვმა, რომელიც აშკარა ინტერესს იჩენდა "თურქი-მესხების" საკითხთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მზადდება ქართველებისა და აზერბაიჯანლების შეტაკება რაც არ უნდა დაუშვათ. მან განაცხადა რომ აბსოლუტურად ეთანხმება ჩვენს პოზიციას "თურქი-მესხების" ჩამოსახლებამდე შემუშავდეს გარანტიები რომლებიც დაიცავენ საქართველოს სასიცოცხლო ინტერესებს. აგრეთვე თქვა რომ ისინი გამოდიან საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანლების აფსურდული მოთხოვნების წინააღმდეგ და შემოგვთავაზა დახმარება მათ დაშოშმინებაში. საუბარი შეეხო პანთურქიზმის პრობლემებს. მან კატეგორიულად უარჰყო თურქეთის ზეგავლენა აზერბაიჯანზე და განაცხადა რომ აზერბაიჯანი მიისწრაფის ირანის აზერბაიჯანთან გაერთიანებისაკენ ცალკე სახელმწიფოში, ხოლო საფრთხე რომელიც ყველას ემუქრება მათ შორის აზერბაიჯანს ეს არის ირანის იმპერია. რაფსანჯანის ვიზიტი საბჭოთა კავშირში მან წარმოადგინა როგორც ორი იმპერიის გარიგება აზერბაიჯანული პრობლემის ირგვლივ. /იგულისხმება ის რომ საბჭოთა კავშირსაც და ირანსაც აწუხებთ მათი "აზერბაიჯანების" საკითხი და მათ შორის ამ მიმართულებით ანტიაზერბაიჯანული მოლაპარაკებები გაიმართა) მან გამოთქვა დიდი სურვილი სედპ-სთან ურთიერობისა და თანამშრომლობისა.

P.S. უკანასკნელი ცნობების მიხედვით იხსნება აზერბაიჯანის საელჩო ანკარაში და აზერბაიჯანის საკონსულო თავრიზში (ირანი).

ოქტომბერი I989 წ.

---

მთელი მსოფლიო შეუნელებელი ინტერესით ადევნებს თვალყურს რუმინეთში გასული წლის დეკემბრიდან განვითარებულ მოვლენებს. უდიდესი მსხვერპლის ფასად დაემხო კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი უსაზიზღრესი კომუნისტური დიქტატურა.

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის უკომპრომისოდ მებრძოლი ქართველი ერისათვის უცხო არ არის რუმინელი ხალხის სწრაფვა თავისუფლების, პროგრესისა და აღორძინებისაკენ. I989 წლის I5 ნოემბერს ტრანსნაციონალური რადიკალური პარტიის ინიციატივით ბუდაპეშტში, მოდერნიზებული იმპერიის ე.წ. სსრკ-ს სატახტო ქალაქ მოსკოვში და სხვ. მოეწყო რუმინელი ხალხის და რუმინეთში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების მხარდამჭერი მანიფესტაციები.

ამავე დღეს თბილისში, სპორტის სასახლესთან სადაც მიმდინარეობდა წვევამდელთა საოკუპაციო არმიის ბოიკოტის აქცია, გაიმართა მრავალრიცხოვანი მიტინგი, რომელზეც მიღებული რეზოლუცია ნათლად გამოხატავს მანიფესტანტთა დამოკიდებულებას ნ. ჩაუშესკუს პირსისხლიანი რეჟიმის ქვეშ მგმინავი რუმინელი ხალხისადმი.

### ქ. თბილისში I989 წლის I5 ნოემბერს გამართული საპროტესტო მიტინგის რ ე ზ ო ლ უ ც ი ა

ჩვენ, საქართველოს დედაქალაქ თბილისში, რუმინეთში ჩაუშესკუს რეჟიმის მსხვერპლთა და რეპრესირებულთა დასაცავად ჩატარებული საპროტესტო მიტინგის მონაწილენი ვგმობთ რუმინეთის პირსისხლიანი დიქტატორის ნიკოლაე ჩაუშესკუს რეჟიმს, რომელიც რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში აუტანელ პირობებში ამყოფებს რუმინელ ხალხს, სასტიკად ებრძვის თავისუფალი აზრის ყოველგვარ გამოვლინებას- ათასობით სხვაგვარად მოაზროვნე დაპატიმრებულია ან ფსიქიატრიულ საავადმყოფოშია გამომწყვდეული.

ჩვენ პროტესტს ვუცხადებთ რუმინეთში ეროვნულ უმცირესობათა ჩაგვრას, მათი ძალდობრივი ასიმილაციის მცდელობას, აგრეთვე კომუნისტური იდეოლოგიის დროშით წარმართულ ბრძოლას მიმართულს რუმინეთის ისტორიისა და კულტურულ ფასეულობათა წინააღმდეგ.

ჩვენ ვგმობთ კრემლის პოლიტიკას, რომელიც არ რეაგირებს თავისი მოკავშირე რუმინეთის არაადამიანურ რეჟიმზე და ცდილობს წარმოადგინოს რუმინეთი ნამდვილი სოციალისტური დემოკრატიის ქვეყნად.

ჩვენ მოვითხოვთ:

I. პირსისხლიანი ჩაუშესკუს რეჟიმის დაუყოვნებლივ გადაყენებას.
2. ყველა პოლიტპატიმრის დაუყოვნებლივ განთავისუფლებას

ქ. თბილისი
I5 ნოემბერი I989 წელი.

---

### საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის მ თ ა ვ ა რ კ ო მ ი ტ ე ტ ს

326520 ხერსონის ოლქი ქ. ციურუპინსკი
ლესნაიას ქუჩა 82 გურა ს.პ.

უკრაინის ჰელსინკის სპილკა გამოთქვამს თავის პრინციპიალურ თანხმობას, მონაწილეობა მიიღოს "ერთა განთავისუფლებისა და დეკოლონიზაციის კომიტეტში".

გთხოვთ, გვაცნობოთ შემდგომი მუშაობის შესახებ.

უკრაინის ჰელსინკის სპილკის აღმასკომის
დავალებით ს. გურა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფრანს–პრესის სააგენტო მერაბ კოსტავას შესახებ

საშველად მოხმობილი ძახილი

სასჯელის ვადის დასრულებამდე ოთხი თვით ადრე, მას შემდეგ, რაც გარკვეული დროის განმავლობაში საბჭოთა ხელისუფალთ ვერ მიაღწიეს მის უკან დახევას, მათ შესძლეს პროვოკაციის საშუალებით მერაბ კოსტავასთვის ხელახალი სასჯელი დაედოთ. დღეისათვის მის ცოლ–შვილს მისი ხელმეორედ ნახვის იმედი გადაეწურათ.

უკანასკნელ ხანს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ, რომელიც ფუნქციონირებს პარიზში, მერაბ კოსტავასაგან მიიღო დახმარების მოწოდება. ეს წერილი მოგვითხრობს გულაგში მის წინააღმდეგ გამოყენებულ მეთოდებზე. კოსტავას ახლობლები ფიქრობენ, რომ ამ წერილის გამოქვეყნება თავისუფალ სამყაროში მუსიკათმცოდნის გადარჩენის უკანასკნელ შანსს წარმოადგენს.

ამ ბარათის დასასრულს კოსტავა გვიხსნის, თუ მრავალი პროვოკაციის ჩაშლის შემდეგ საბოლოოდ როგორ დააპატიმრეს.

„ ... ორი დღის შემდეგ მე შევხვდი მილიციის ოფიცერს კლინს და ვუთხარი: ვიცი, რომ გინდათ ჩემი დაჭერა. მან მიპასუხა: სხვა არჩევანი არ გამაჩნია".

„ მოგვიანებით, I8 ნოემბრისათვის, ვინმე მირონენკოს პიროვნების იდენტურობის დადგენის საბაბით ჩემთან მოსულმა კლინმა მთხოვა გავყოლოდი მილიციის პუნქტში. მითხრა, რომ კვიტოვში ჩემი ყოფნით მე მას მტრები გავუმრავლე, შემდეგ კი გამიშვა".

„21 საათიდან 22 საათამდე იქნებოდა ყინავდა ქუჩა უკაცრიელი იყო. გამოვედი თუ არა მილიციიდან, ვიღაც გამოემართა ჩემსკენ, მასში კლინის ის ამხანაგი შევიცანი, რომელიც ამ რამოდენიმე ხნის წინ ჩემთან საჩხუბარს ეძებდა. მან შემაგინა. შევეცადე თავი ამერიდებინა, მაგრამ ამ დროს კლინი გამოვიდა შენობიდან, მომვარდა და ფეხებთან ჩამივარდა უეცრად მილიციის პუნქტიდან ორი ცრუმოწმე გამოჩნდა. დამადანაშაულეს ჩვენს გასაშველებლად მოსული მილიციელის ცემაში. ერთი მოწმის ჩვენებით, მე მიყვირია: „რუსო ძაღლებო", მეორის მიხედვით – „ძირს საბჭოთა ხელისუფლება". გამოძიება ნაუცბათევად ჩაატარეს და ოცდამეოთხე დღეს გამასამართლეს...

„პროკურორმა მოითხოვა 5 წლით და ერთი თვით თავისუფლების აღკვეთა. მოსამართლე მაშინვე დაეთანხმა. მე მხოლოდ გარე სამყაროს მხარდაჭერის იმედიღა დამრჩა".

მერაბ კოსტავა

ანგარსკი, მე–I5
კოლონია
1982 წ. 24 აპრილი

I8 ნოემბერი 1982 წ.
ხუთშაბათი

წერილი გულაგიდან

ციმბირში, გულაგში დაპატიმრებულ მუსიკათმცოდნე კოსტავას სიცოცხლის შენარჩუნების მხოლოდ ერთი იმედიღა შერჩა: გარე სამყაროს მხარდაჭერა.

გი ლამბერი

I0 წელია, რაც ახალგაზრდა დაბადებული 1939 წ. მაგრამ უკვე ცნობილი ქართველი მუსიკათმცოდნე მერაბ კოსტავა თბილისში დააპატიმრეს. მას ბრალად დასდეს დისიდენტების მხარდაჭერა. 1973 წელს განთავისუფლებული იგი ხელმეორედ დააპატიმრეს 1977 წელს „ფიგარო"–მ გაცნობათ მისი დაპატიმრება და გათამაშებული სასამართლოს შემდეგ 5 წლით ციმბირში გადასახლება მიუსაჯეს.

დროის ზემოაღნიშნულ შუალედში მან განაახლა თავისი პედაგოგიური მოღვაწეობა თბილისისუნივერსიტეტში. გამოაქვეყნა მრავალი ნაშრომი მუსიკათმცოდნეობაში. გახდა „ჰელსინკის ხელშეკრულების საბოლოო აქტის შესრულებაზე სამეთვალყურეო ჯგუფის" და ადამიანთა უფლებების დაცვის ქართული განყოფილების წევრი.

მოსკოვი, 3I ოქტომბერი ფრანს–პრესის სააგენტო

მე–8 დღეა, რაც საბჭოთა დისიდენტმა მერაბ კოსტავამ გამოაცხადა შიმშილობა იმის საპროტესტოდ, რომ მის ოჯახს აუკრძალეს პატიმრობის ადგილზე ჩასვლა და მისი მონახულება. ორშაბათს ეს ცნობა მივიღეთ მოსკოვში, დისიდენტური წყაროებიდან.

საქართველოში ჰელსინკის ხელშეკრულებაზე სამეთვალყურეო ჯგუფის წევრი, მერაბ კოსტავა ანტისაბჭოთა საქმიანობისა და მილიციაზე თავდასხმისათვის იხდის ორ– ხუთ წლიან სასჯელის ვადას. დისიდენტი იმყოფება ციმბირში, ირკუტსკის მახლობლად მდებარე ანგარსკის შრომა–გასწორების ბანაკში. როგორც ინფორმაციის ზემოთხსენებული წყაროები აღნიშნავენ, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა არა სახარბიელოა.

ქართული ორგანიზაცია შეიქმნა 1977 წლის იანვარში უკრაინის, ლიტვის, სომხეთისადა მოსკოვის ანალოგიური ჯგუფების მოდელის მსგავსად, რათა გაეწია კონტროლი სსრკ–ს მხრიდან 1975 წლის აგვისტოში ჰელსინკში ხელმოწერილი შეთანხმების შესრულებაზე.

სუკ–ის (სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი) მიერ განხორციელებული რეპრესიების შედეგად ყველა ეს ჯგუფი განადგურდა. მაშინ სუკ–ს სათავეში ედგა იური ანდროპოვი, რომელიც 1982 წლის ნოემბერში სკკპ მეთაური, ხოლო ა.წ. ივნისიდან ქვეყნის პრეზიდენტი გახდა.

ოქტომბერი 1983 წ.

მოსკოვი 29 აგვისტო ფრანს–პრესის სააგენტო

ხუთშაბათს დისიდენტური წყაროები იტყობინებოდნენ, რომ ციმბირში 1977 წელს დატუსაღებულ ქართველ დისიდენტსმერაბკოსტავას, რომელიც ბანაკებში ათი წელი იმყოფებოდა, კვლავ 5 წლით გაუგრძელეს სასჯელის მოხდის ვადა.

როგორც ანონიმი ინფორმატორი იუწყება, გასულ ივნისს ჰელსინკის ხელშეკრულების შესრულებაზე სამეთვალყურეო ჯგუფის ერთ–ერთი წევრი 46 წლის მუსიკათმცოდნე მერაბ კოსტავა, გაასამართლეს ქ. ჩიტას ბანაკში, ამ უკანასკნელის რეგლამენტის დარღვევის ბრალდებით. და მიუსაჯეს დამატებით პატიმრობის 5 წელი.

ეს სასჯელი დაემატა ანტისაბჭოთა საქმიანობისა და მილიციაზე თავდასხმისათვის მისჯილ ორ ხუთწლიან სასჯელის ვადას.

1984 წლის მიწურულს მერაბ კოსტავამ დაიწყო ხანგრძლივი შიმშილობა იმის საპროტესტოდ, რომ მის ოჯახს უფლებას არ რთავდნენ მოენახულებინა პატიმარი.

ქართული ორგანიზაცია ჩამოყალიბდა 1977 წლის იანვარში, მოსკოვში, უკრაინაში, ლიტვასა და სომხეთში არსებული ანალოგიური ჯგუფების მოდელის მიხედვით. შემდგომში ყველა ეს ჯგუფი განადგურდა სუკ–ის მიერ.

აგვისტო 1985 წ.

თბილისი საქართველო, 3I დეკემბერი ფრანს–პრესის სააგენტო – ქართველმა დისიდენტმა მერაბ კოსტავამ, რომელიც ციმბირის ქალაქ ანგარსკში იხდისი თავისუფლების აღკვეთის ათწლიან სასჯელს, უვადო შიმშილობა დაიწყო. იუწყება საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის დედაქალაქ თბილისიდან ფრანს–პრესის სააგენტო.

ჰელსინკის ხელშეკრულების შესრულებაზე სამეთვალყურეო ჯგუფის დამაარსებლის მწერალ ზვიად გამსახურდიას მიერ ხელმოწერილ ბარათში აღნიშნულია, რომ 45 წლის მერაბ კოსტავას შიმშილობის მიზანია, გამოხატოს პროტესტი ბანაკის ადმინისტრაციის მიმართ ცუდი მოპყრობისათვის, იზოლაციისათვის, წიგნების აკრძალვისა და ოჯახის წევრებთან თვით ხანმოკლე შეხვედრის ნებადაურთველობის გამო.

მუსიკათმცოდნე მერაბ კოსტავა, რომელიც პირველად 1972 წელს დაიჭირეს, ორ ხუთწლიან სასჯელს იხდის „ანტისაბჭოთა საქმიანობისა და მილიციაზე თავდასხმისათვის". „იმდენად დიდია წამება და დამცირება", – აღნიშნავს „დასავლეთის ქრისტიანთა ორგანიზაციიხადმი" გაგზავნილი მოწოდება, „რომ მან გადაწყვიტა თავი შიმშილით მოიკლას".

ჰელსინკის ხელშეკრულების შესრულებაზე სამეთვალყურეო ჯგუფი შეიქმნა 1977 წელს უკრაინის, ლიტვის, სომხეთისა და მოსკოვის ანალოგიური ჯგუფების მოდელის მიხედვით. ყველა

ყველა ეს ჯგუფი ხელისუფლებამ არალეგალურად სცნო და განადგურდა სუკ–ის მიერ განხორციელებული რეპრესიების შედეგად.

დეკემბერი 1984 წ.

მოსკოვი I6 თებერვალი ფრანს–პრესის სააგენტო, – დაახლოებით I0 წლის წინ ციმბირში დატუსაღებული ქართველი დისიდენტის მერაბ კოსტავას ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა და „თუკი მას გაანთავისუფლებენ, მხოლოდ იმისთვის, რომ შინ გარდაიცვალოს", შეატყობინა კვირას ფრანს–პრესის სააგენტოს პიროვნებამ, რომელმაც თავი მერაბ კოსტავას მეგობრად წარმოადგინა.

46 წლის ქართველი მუსიკათმცოდნე მერაბ კოსტავა არის 1977 წელს ჩამოყალიბებული ჰელსინკის ხელშეკრულებაზე სამეთვალყურეო ჯგუფის ერთ–ერთი დამაარსებელი. ამავე წელს იგი დააპატიმრეს და ორჯერ მიუსაჯეს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა ციმბირის ბანაკებში სასჯელის მოხდით ანტისაბჭოთა საქმიანობისა და მილიციაზე თავდასხმისათვის. ეს სასჯელი ჯერ 1981 წელს გაუგრძელეს 5 წლით, შემდეგ კი,– 1985 წლის ივნისში.

ამჟამად მერაბ კოსტავა იმყოფება უზბეკეთში, ტაშკენტის საავადმყოფოში. ექიმებმა მას გართულებული ტუბერკულოზის დიაგნოზი დაუსვეს, – დასძენს ანონიმი ინფორმატორი თბილისიდან გადმოცემულ სატელეფონო საუბარში. „ რადგან ხელისუფალთ არ სურთ დისიდენტი ბანაკში გარდაიცვალოს, მათ გადაწყვიტეს მისი შინ გაგზავნა, რათა მან იქ დალიოს სული", – შენიშნავს ზემოაღნიშნული წყარო.

მერაბ კოსტავამ 1983 წელს გამოაცხადა ხანგრძლივი შიმშილობა ოჯახის წევრებთან შეხვედრის აკრძალვის საპროტესტოდ.

თებერვალი 1986 წ.

პუბლიკაცია მოამზადა
მამუკა ცაგარელმა

---

I989 წლის 25 დეკემბერს პატრიოტ მოსწავლეთა კავშირმა და მოსწავლეთა დამოუკიდებლობის ლიგამ მოაწყვეს საპროტესტო აქცია ალკკ საქართველოს ფილიალის ცენტრალურიკომიტეტის შენობის წინ. მიტინგს წინ უძღვოდა დემონსტრანტთა მსვლელობა გლდანის რაიონიდან ქალაქის ცენტრში (მოსწავლეთა დამოუკიდებლობის ლიგა და პატრიოტ მოსწავლეთა კავშირი აერთიანებს გლდანის რაიონის საშუალო სკოლებისა და პროფტექ–სასწავლებლების მოსწავლეებს, რომლებმაც დასტოვეს პიონერიისა და კომკავშირის რიგები).

მოსწავლეთა მოთხოვნა იყო დაუყოვნებლივ გაუქმდეს პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციები სასწავლო დაწესებულებებში. დამოუკიდებლობის ლიგამ კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ს. გოგიბერიძეს გადასცა შემდეგი სახის განცხადება.

მოსწავლეთა დამოუკიდებლობის ლიგის

განცხადება

ჩვენ, მოსწავლეთა დამოუკიდებლობის ლიგის წევრები ვაცხადებთ, რომ პიონერული და კომკავშირის პირველადი ორგანიზაციების არსებობა სკოლაში ატარებს არაჰუმანურ ხასიათს და ზნეობრივად გაუმართლებელია, რადგან მთელი თავისი არსებობის მანძილზე კომკავშირი ეწევა ახალგაზრდობის სულიერი სამყაროს დაკნინებას და ხელყოფას. ზღუდავს ახალგაზრდის პიროვნულ თავისუფლებას. ცდილობს კომუნისტურ პარტიას მოუმზადოს და ალუზარდოს "ღირსეული" ცვლა. ამით კი ხელი შეუწყოს კომუნისტური რეჟიმის უფრო და უფრო გაძლიერებას.

აქედან გამომდინარე კომკავშირს ვცნობთ მოღალატურ ორგანიზაციად და კატეგორიულად მოვითხოვთ საშუალო და პროფესიულ–ტექნიკურ სასწავლებლებში დაუყოვნებლივ გაუქმდეს პიონერული და კომკავშირის პირველადი ორგანიზაციები.

მოსწავლეთა დამოუკიდებლობის ლიგის სახელით:
გრიგოლ გოგუა ბადრი დემურიშვილი ლევან კალანდაძე

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს

ზ უ რ ა ბ ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

The San Diego Union

FINAL EDITION

# Visiting Georgians see independence from Soviets by year 2000

## ჩამოსული ქართველები იმედოვნებენ დამოუკიდებლობას 2000 წლამდე

ქართველი ნაციონალისტები, რომლებიც ჩამოვიდნენ საბჭოთა ხელოვნების ფესტივალის მონაწილეებთან ერთად, ფიქრობენ, რომ მათი რესპუბლიკა მიაღწევს დამოუკიდებლობას საბჭოთა კავშირისაგან ამ საუკუნის დასასრულს და შეიძლება, უფრო ადრეც.

" არაუგვიანეს 2000 წლისათვის ჩვენ ვიქნებით დამოუკიდებელნი"- თქვა აქტივისტმა თედო პაატაშვილმა.

ნაციონალისტები ცდილობენ, რომ ოპოზიციური პარტიები ოფიციალურად იქნენ აღიარებულნი, მოითხოვენ თავისუფალ არჩევნებს, თვითმმართველობასა და კერძო საკუთრების დამყარებას მათ რესპუბლიკაში.

ყოველივე ამას ისინი თვლიან საწყის ნაბიჯებად მათი რესპუბლიკის დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის სსრკ-გან, რომელმაც მოახდინა საქართველოს ანექსია I92I წელს.

თუმცა პოლიტოლოგები არ ფიქრობენ, რომ დამოუკიდებლობის მოპოვება ადვილი იქნება. "ფაქტია, რომ საბჭოთა სისტემა-იმპერიული სისტემაა"- განაცხადა სანფორდ ლაკოფფმა, UCSD-ს პოლიტოლოგმა. "მე არ ვფიქრობ, რომ ხელმძღვანელობას ენდომება დათმოს თუნდაც ერთი გოჯი საბჭოთა კავშირისა".

ლაკოფფმა თქვა, რომ მისი აზრით საბჭოთა კავშირი წავა იმაზე, რომ შექმნას ფედერალისტური პოლიტიკური სისტემა და რესპუბლიკებს მიანიჭებს მეტ უფლებებს, დაახლოებით იმდაგვარს, აშშ-ს ფედერალური ხელისუფლება, რომ უტოვებს შტატს, რომელსაც ბევრი გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება შეუძლია.

ქართველ ნაციონალისტებს იმდენად ეზიზღებათ რუსეთთან კავშირი და მმართველი კომუნისტური პარტია, რომ ლამის გადაწყვეტილება მიიღეს ქართველების სან-დიეგოს ფესტივალში მონაწილეობის ასაკრძალავად. ნაციონალისტებს არ სურდათ ქართველ და რუს შემსრულებელთა ერთობლივი გამოსვლა კონცერტებზე და გასულ თვეს საქართველოს დედაქალაქ თბილისში მოაწყვეს ფესტივალის წინააღმდეგ საპროტესტო გამოსვლები.

საქართველოს კულტურის მინისტრმა ვალერი ასათიანმა შეძლო პროტესტების შეჩერება იმით, რომ ოთხ ნაციონალისტს ნება დართო ჩამოსულიყვნენ სან-დიეგოში ოფიციალური დელეგაციის წევრებად და დაარწმუნა ქართველები, რომ ყველა ღონეს იხმარდა იმისათვის, რათა რუსი და ქართველი შემსრულებლები სხვადასხვა სცენებზე გამოსულიყვნენ-განაცხადეს ასათიანმა და აქტივისტებმა გასულ კვირას ინტერვიუში.

დელეგაციის ხარჯები იფარება ხელოვნების ფესტივალით, რომელიც სუბსიდირებულია ქალაქის სასტუმროების წლიური ბაჟითა და კერძო შემოწირულობებით.

ერთი კვირის წინ, ჩამოსვლისას, I4 კაციანმა დელეგაციამ გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომელშიც მოთხოვნილია საქართველოს სახელმწიფოებრიობა.

კომუნისტური პარტიის წევრმა და საქართველოს პარლამენტარმა ასათიანმა განაცხადა, რომ რესპუბლიკას "უნდა ჰყავდეს პარლამენტი, რომელსაც არ იქნება მარიონეტული ფუნქციები". ასათიანი არ ჩანდა შეშფოთებული, თუმცა მისი გამონათქვამები შეიძლება სარისკო გამხდარიყო მისი მდგომარეობის კაცისათვის, ასეთი რისკი კი რა თქმა უნდა არსებობს.

32 წლის პაატაშვილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკოსი და წმ. ილია მართლის საზოგადოების წევრია. ეს საზოგადოება ერთ-ერთი ყველაზე აქტიურია იმ ჯგუფთაგან, რომლებიც გაერთიანებულნი არიან საქართველოს ეროვნული ხსნის ორგანიზაციაში.

პაატაშვილმა თქვა, რომ საბჭოთა ეკონომიკა ისეთ ცუდ დღეშია, რომ ქართველებს სურთ გაასწრონ სსრკ-დან მანამ, სანამ იგი თავზე დაემხობოდეთ.

მანვე განაცხადა, რომ არავინ დაუსჯიათ საბჭოთა არმიის მიერ იმ I9 ქართველის მკვლელობისათვის, რომლებიც მონაწილეობდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართულ აპრილის დემონსტრაციებში.

არაოფიციალური საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის წევრმა, 27 წლის მათემატიკოსმა ვაჟა კილაძემ წითელ არმიას "საოკუპაციო არმია" უწოდა.

მისი განცხადებით საბჭოები უხეშად არღვევენ I949 წლის I2 აგვისტოს ჟენევის კონვენციას, რომელიც უკრძალავს სახელმწიფოს მის მიერ ოკუპირებული ქვეყნის ტერიტორიიდან მოქალაქეთა თავის არმიაში გაწვევას.

პაატაშვილის თქმით "სულ ცოტა 500 ადამიანმა უარი განაცხადა არმიაში სამსახურზე და დახია სამხედრო ბილეთები".

ვაშინგტონის საბჭოთა საელჩოს პრეს-ოფისის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ქართველთა მოთხოვნებს არავითარი კომენტარი არ გაუკეთა, თუმცა მოისურვა გაეგო თუ ვინ დაპატიჟა ნაციონალისტები სან-დიეგოში.

პრეზიდენტ მიხეილ გორბაჩოვის რეფორმების წყალობით სხვა საბჭოთა რესპუბლიკების აქტივისტებიც მოითხოვენ დამოუკიდებლობას, აზერბაიჯანელი და ბალტიის რესპუბლიკების ნაციონალისტები აცხადებენ, რომ პოლიტიკური რეფორმების ტემპი ძალიან ნელია.

დასავლეთის მრავალი ოფიციალური პირი ფრთხილობს და სურს რომ დამოუკიდებლობის მოპოვება თანდათანობით მოხდეს, რადგან ეშინიათ, რომ ნაციონალისტთა მოთხოვნებმა შეიძლება საბჭოების არასასურველი რეაქცია გამოიწვიოს და ეს იქცეს მიზეზად საერთაშორისო დესტაბილიზაციისა.

მაგრამ პაატაშვილმა განაცხადა-" დემოკრატიის მიღწევის ერთადერთი საშუალება არსებობს.... მისი მიღწევა დაუყოვნებლად".

გასულ კვირას ქართველმა დემონსტრანტებმა დაწვეს საბჭოთა დროშა მოწოდებით "ძირს საბჭოთა იმპერია ".

საქართველო, რომელიც ფართობით დაახლოებით სამხრეთ კაროლინის ოთხი მეხუთედია მდებარეობს საბჭოთა კავშირის სამხრეთ დასავლეთით და გააჩნია ერთ-ერთი უმდიდრესი სასოფლო-სამეურნეო არე. საქართველოს კარგი კვების მრეწველობა აქვს და ფლობს მარგანეცის დიდ მარაგს.

მას ჩრდილოეთით ესაზღვრება რუსეთი, აღმოსავლეთით აზერბაიჯანი, სამხრეთით სომხეთი, სამხრეთითვე ესაზღვრება თურქეთს, ხოლო დასავლეთით ეკვრის შავი ზღვა.

საქართველოს დიდი ისტორია აქვს, რომელიც სავსეა მტერთა შემოსევებითა და მათთან ბრძოლებით. საქართველოს ებრძოდნენ თურქები, სპარსელები, მონღოლები ჩინგის ხანის მეთაურობით.

საქართველო რუსეთის ნაწილი გახდა I800-იანი წლების დასაწყისში, მაგრამ კვლავ გახდა დამოუკიდებელი I9I8 წელს. რუსეთის რევოლუციის შემდეგ.

I92I წელს წითელი არმიის შეჭრის შემდეგ იგი გახდა ნაწილი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა.

საბჭოთა დიქტატორი იოსებ სტალინი საქართველოდანაა გამოსული

ახლანდელი უცხოეთის მინისტრი ედუარდ შევარდნაძე საქართველოს კომუნისტური პარტიის პირველი მდივანი იყო 70-იანი წლებში. კილაძე მას საქართველოს "მოღალატეს" უწოდებს, მის მიერ საბჭოთა ხელისუფლების მხარდაჭერის გამო.

ქართველმა აქტივისტებმა განაცხადეს, რომ კრემლია პასუხისმგებელი ეთნიკური კონფლიქტების გაჩაღებისათვის, რამეთუ ამ დროს ქართველთა და მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღება გადააქვთ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლისგან.

საქართველოს მოსახლეობის 2/3 ეთნიკური ქართველია, 9% სომეხი, 8% რუსი, 5% აზერბაიჯანელი, 3% ოსი და 2% აფხაზი, 5%-ს შეადგენენ სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფები.

მოსახლეობის უმეტესობა ქართულად ლაპარაკობს და ქრისტიანია. ჩამოსული დელეგაციის დეკლარაცია მთავრდება სიტყვებით: "გაუმარჯოს თავისუფალ, დემოკრატიულ, ქრისტიანულ საქართველოს! ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!".

მაგრამ ეთნიკურ ჯგუფთაგან ზოგნი მუსულმანია, ბევრიც სხვა ენაზე ლაპარაკობს, მაგ. რუსულად.

ქართველ აქტივისტთა სხვა მოთხოვნა არის თავისუფალი, მრავალპარტიული არჩევნები.

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია იბრძვის რეგისტრაციისათვის, რათა მონაწილეობა მიიღოს ოფიციალურ ოპოზიციად არჩევნებში, კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ.

კილაძემ თქვა, რომ ქართველები იბრძვიან მეტი შინამმართველობისათვის და მომავალი წლისათვის დაგეგმილი აქვთ არჩევნების ბოიკოტი, რათა "გამოხატონ პროტესტი ოპოზიციური კანდიდატების ნაკლებობის გამო".

გაზეთი "სან-დიეგო იუნიონი"
საკვირაო გამოშვება I2 ნოემბერი I989 წ.
კალიფორნია, ა.შ.შ.

---

## " სან-დიეგო იუნიონში" გამოქვეყნებულ პუბლიკაციას კომენტარს უკეთებს და ამერიკულ შთაბეჭდილებებსა და მოსაზრებებზე გვესაუბრება

### ვ ა ჟ ა   კ ი ლ ა ძ ე

ჩვენი ჯგუფის აშშ-ში გამგზავრების "მოხერხების" შესახებ დაწვრილებით საუბარი აუცილებლად არ მიმაჩნია, რამეთუ ამის შესახებ ინფორმაცია გავრცელდა, როგორც მიტინგებზე, ასევე ოფიციალური პრესისა და ტელევიზიის საშუალებით.

დაწყებული თბილისის აეროპორტიდან, სადაც დაიკარგა უკვე კარგად ცნობილი ყვითელი ჩემოდანი და შემდეგ მოსკოვში შვიდდღიანი ლოდინისა და ამერიკაში თავს გადამხდარი სხვადასხვა თავგადასავლების ჩათვლით, შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენმა მოგზაურობამ საკმაოდ საინტერესოდ ჩაიარა.

მოსკოვში ყოფნისას საქართველოს დელეგაციამ (რომლის შემადგენლობაშიც ჩართული იყო ჩვენი 4-კაციანი ჯგუფი) მიიღო ერთობლივი განცხადება, რომელმაც საკმაო ინტერესი გამოიწვია ამერიკული პრესის წარმომადგენლებში და რომელშიც აღნიშნული იყო, რომ 2500 წლოვანი სახელმწიფოებრიობის მქონე საქართველოსათვის დღევანდელი მდგომარეობა არანორმალურია და ერთადერთი გამოსავალი მხოლოდ სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენაა და რომ ვერავითარი ახალი მოდელები ფედერაციისა, რომელსაც გვთავაზობს ცენტრი საქართველოს წინაშე მდგარ პრობლემებს ვერ გადაწყვეტს.

ამ ერთობლივი განცხადებით დაწყებული, ჩვენი მოგზაურობის მთელს პერიოდში აშკარად იგრძნობოდა, რომ დელეგაციის წევრთა შორის ცალკეულ პოლიტიკურ შეხედულებათა განსხვავების მიუხედავად ქართველი ერი იბრძვის თავისუფლებისათვის. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ცეკვისა და სიმღერის სახელმწიფო ანსამბლმა, რომელსაც ბ-ნი ჭკუასელი ხელმძღვანელობს, ჯერ კიდევ ჩვენს ჩასვლამდე უარი განაცხადა იმ დარბაზში გამოსვლაზე, სადაც საბჭოთა დროშა ეკიდა. ორგანიზატორები იძულებულნი გახდნენ ჩამოეხსნათ სსრკ სახელმწიფო ალამი.

სან-დიეგოში ჩასვლისთანავე ჩვენ დავუკავშირდით გაზეთ "სან-დიეგო იუნიონის" (ყველაზე გავლენიანია) რედაქტორს და გავაცანით ჩვენი ჩასვლის მიზეზები და სურვილები პრესასთან შეხვედრისა. მეორე დღესვე გვესტუმრა ჟურნალისტი, რომელიც 4 საათი გვესაუბრა. ინტერესი იმდენად დიდი გამოდგა, რომ შემდეგ დღეს ამავე გაზეთის კიდევ სამი წარმომადგენელი გვეწვია. ამ შეხვედრაში ბ-ნმა ვ.ასათიანმაც მიიღო მონაწილეობა.

"სან-დიეგო იუნიონის" ორ სხვადასხვა ნომერში გამოქვეყნდა მასალები (I0 ნოემბრის პირველ გვერდზე და რაც მნიშვნელოვანია I2 ნოემბრის საკვირაო გამოშვებაში). რაც შეეხება ქართველ ხელოვანთა საქებ რეცენზიებს, თითქმის ყოველ ნომერში შეხვდებოდით მათ.

"სან-დიეგო იუნიონში" საკმაოდ ობიექტურად გაშუქდა ჩვენი ჩასვლის მიზეზები და მოთხოვნები, საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა და ისტორიაც, რამდენადაც ეს შესაძლებელია საგაზეთო პუბლიკაციისათვის. ამასთან ამ პუბლიკაციებში დაშვებული იყო რამდენიმე უზუსტობა, რომელიც მართალია საერთო ამინდს ვერ ცვლიდა, თუმცა მათი აღნიშვნაც საჭიროდ მიმაჩნია.

I. "საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია იბრძვის რეგისტრაციისათვის, რათა მონაწილეობა მიიღოს ოფიციალურ ოპოზიციად არჩევნებში, კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ.

კილაძემ თქვა, რომ ქართველები იბრძვიან მეტი შინამმართველობისათვის და მომავალი წლისათვის დაგეგმილი აქვთ არჩევნების ბოიკოტი, რათა გამოხატონ პროტესტი ოპოზიციური კანდიდატების ნაკლებობის გამო".

ჯერ ერთი საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია არ აპირებს არავითარ არჩევნებში (თუნდაც მრავალპარტიულ) მონაწილეობას საქართველოს დამოუკიდებლობამდე, რამეთუ ნებისმიერი საბჭოთა არჩევნები ჩვენ თავსმოხვეულად და I92I წლის აგრესიის შედეგად მიგვაჩნია, ამასთან ჩვენი პარტია საოკუპაციო მმართველობისაგან არავითარ რეგისტრაციას არ საჭიროებს, ვინაიდან კატეგორიულად არ ცნობს არსებულ ხელისუფლებას, როგორც უკანონოს და არასამართლებრივს.

მეორეც, არავითარი მეტი ან ნაკლები შინამმართველობისათვის ჩვენ არ ვიბრძვით, ჩვენი მიზანი თავისუფლება და სახელმწიფოებრიობის აღდგენაა.

რა თქმა უნდა საბჭოთა არჩევნებს ბოიკოტს ვუცხადებთ, მაგრამ თუ რატომ, ამის ახსნა მკითხველისათვის აქ ზედმეტად მიმაჩნია.

2. "ახლანდელი უცხოეთის მინისტრი ედუარდ შევარდნაძე საქართველოს კომუნისტური პარტიის პირველი მდივანი იყო 70-იან წლებში. კილაძე მას საქართველოს "მოღალატეს" უწოდებს, მის მიერ საბჭოთა ხელისუფლების მხარდაჭერის გამო".

მე ძალიან შორს ვდგავარ ცალკეულ პიროვნებებთან ბრძოლისაგან და შეკითხვაზე თუ რას ვფიქრობდი ბ-ნ ედუარდ შევარდნაძეზე როგორც ყოფილ პირველ მდივანზე, მე აღვნიშნე, რომ ნებისმიერი ქართველი, რომელიც იბრძვის კომუნისტური რეჟიმის განმტკიცებისათვის საქართველოში, სტალინისა და ორჯონიკიძის სწორია. აქედან გამომდინარე ჩემი ნათქვამი არ ეკუთვნოდა მხოლოდ ე.შევარდნაძეს.

კალიფორნიის შტატის უნივერსიტეტში შევხვდით და კერძო საუბრები გვქონდა პროფესორ-მასწავლებლებთან. ჩვენთან შესახვედრად სან-დიეგოში ჩამოვიდა რამდენიმე ქართველი ემიგრანტი. საგაზეთო პუბლიკაციის შემდეგ ბევრ ამერიკელს გასჩენია ჩვენთან შეხვედრის სურვილი, მაგრამ სხვადასხვა მიზეზთა გამო ეს არ მოხერხდა.

მე და ბ-ნი თედო პაატაშვილი დელეგაციისაგან განსხვავებით 4 დღით ადრე გავემგზავრეთ ნიუ-იორკში, სადაც ვიმყოფებოდით ბ-ნ ედუარდ გუდავასთან. ე.გუდავა გახლავთ ვ.ბუკოვსკის მიერ დაარსებული ცენტრის დირექტორი. მასთან შევხვდით ქართველ ემიგრანტებს. მათ შორის ქართული სათვისტომოს პრეზიდენტს ბ-ნ პაპიშვილს, ჩხუბინაშვილს, ნიკოლ ჟორდანიას. არ შეიძლება არ აღინიშნოს ბ-ნი ე.გუდავასა და ბ-ნი კ.გუგუშვილის მონდომება და დახმარება, რომელიც გამოიხატა არა მხოლოდ მატერიალური დახმარებით (იქნებოდა ეს ტელეფაქსი თუ კომპიუტერი, მოდემი)

ზ.ა. ცენტრში მოეწყო საბოლოო პრეს-კონფერენცია, რომელსაც მრავალი, საკმაოდ ცნობილი გამოცემათა წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ბ-ნი კ.გუგუშვილი, რომელიც ვაშინგტონიდან ჩამოფრინდა ჩვენთან შესახვედრად, მზად იყო მოეწყო ჩვენი შეხვედრა პოლიტიკური წრეების წარმომადგენლებთან, მაგრამ ეს უკვე დროის სიმცირის გამო არ მოხერხდა.

სამწუხაროდ პრეს-კონფერენციის მომდევნო დღის ჩვენ გამოვფრინდით მოსკოვში და ვერ შევძელით იმ მასალების ჩამოტანა რაც დაიბეჭდებოდა გაზეთებში, თუმცა ბ-ნმა ე.გუდავამ აღგვითქვა, რომ შეძლებისდაგვარად მოგვაწვდის ამ პუბლიკაციებს.

დეკემბერი I989 წ.



ნომერი მოამზადეს მერაბ შარაშენიძემ
სედპ გამომცემლობის ბიურო: ვაჟა კილაძემ
გუჯა ტალახაძემ